საინფორმაციო ფურცელი №165 სასამართლოს პრეცედენტული სამართლის შესახებ

ივლისი 2013

ჯალუდი ნიდერლანდების წინააღმდეგ (იურისდიქციის გადაცემა) – 47708/08
(Jaloud v. the Netherlands)

მუხლი 2

პოზიტიური ვალდებულებები

მუხლი 2-1

ეფექტური გამოძიება

წევრის, ნიდერლანდების სამხედრო მოსამსახურის მიერ, რომელიც ერაყში განლაგებული სტაბილიზაციის ჯარების წევრია, ერაყის მოქალაქეთა მიმართ ცეცხლის გახსნის პრეცედენტის გამოძიება: *იურისდიქციის დათმობა დიდი პალატის სასარგებლოდ*

მუხლი 1

სახელმწიფოთა იურისდიქცია

ერაყში განლაგებული სტაბილიზაციის ჯარების (SFIR) წევრის, ნიდერლანდების სამხედრო მოსამსახურის მიერ ერაყის მოქალაქეთა მიმართ განხორციელებული სავარაუდო სროლა: *იურისდიქციის დათმობა დიდი პალატის სასარგებლოდ*

2003 წლის ივლისიდან 2005 წლის მარტამდე, ნიდერლანდების ჯარი მონაწილეობდა ერაყში სტაბილიზაციის ძალების სამხედრო ბატალიონის საქმიანობაში. აღნინული ჯარები წარმოადგენდა გაერთიანებული სამეფოს ოფიცრის მეთაურობით, ერაყის სამხრეთ-აღმოსავლეთით განლაგებული მრავალეროვანი დანაყოფის (MND-SE) ნაწილს. MND-SE-ს დანაყოფში ნიდერლანდების ჯარის მონაწილეობა განისაზღვრებოდა გაერთიანებულ სამეფოსა და ნიდერლანდების სამეფოს შორის გაფორმებული უერთიერთგაგების მემორანდუმით, რომელსაც თან ერთვოდა ნიდერლანდების ჯარის ჩართულობის მარეგულირებელი წესები. ორივე დოკუმენტი განიხილებოდა, როგორც კონფიდენციალური.

მომჩივანი არის 2004 წლის აპრილში, ტყვიებით მიღებული ჭრილობების შედეგად გარდაცვლილი ერაყის მოქალაქის მამა. გარდაცვლილმა პირმა სასიკვდილო ჭრილობები მიიღო ავტომობილით მგზავრობისას, რომელსაც

ცეცხლი გაუხსნეს საავტომობილო საგუშაგოსთან გავლისას. ამ დროს, საგუშაგო დაკომპლექტებული იყო ერაყის სამოქალაქო თავდაცვის ჯარებით (ICDC), ნიდერლანდების სამხედრო მოსამსახურეებთან ერთად, რომლებიც საგუშაგოში მივიდნენ მას შემდეგ, რაც იმ ინციდენტამდე რამოდენიმე წუთით ადრე, რომელშიც მომჩივანის ვაჟი გარდაიცვალა, საგუშაგოს ცეცხლი გაუხსნეს სხვა ავტომობილიდან. ნიდერლანდების ერთ-ერთმა სამხედრო მოსამსახურემ აღიარა, რომ რამდენჯერმე ესროლა ავტომობილს, რომლითაც მგზავრობდა მომჩივანის ვაჟი, თუმცა იგი ამტკიცებდა, რომ მოქმედებდა თავდაცვის მიზნით, რამდგან სჯეროდა, რომ წარმოადგენდა ავტომობილიდან თავდასხმის ობიექტს. სამეფო სამხედრო პოლიციის (*Royal Military Constabulary*) (ნიდერლანდების სამხედრო ძალების ერთ-ერთი განყოფილება) მიერ განხორციელებული გამოძიების შემდეგ, სამხედრო პროკურორმა დაადგინა, რომ მომჩივანის ვაჟს სავარაუდოდ მოხვდა ერაყელების მიერ გასროლილი ტყვია და ნიდერლანდების სამხედრო მოსამსახურეები მოქმედებდნენ თავდაცვის მიზნით. შესაბამისად, მან დაასრულა გამოძიება. აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სააპელაციო სასამართლოს სამხედრო პალატამ, რომელმაც დაადგინა, რომ სამხედრო მოსამსახურის რეაქცია გამოიწვია თავისიანი ჯარისკაცების მხრიდან გახსნილმა ცეცხლმა, რომელიც მან შეცდომით მიიჩნია ავტომობილიდან გახსნილ ცეცხლად. ამ პირობებში, იგი მოქმედებდა მისი ინსტრუქციების ფარგლებში და შესაბამისად მართებულია გადაწყვეტილება მის მიმართ დევნის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ.

ევროპული სასამართლოსადმი წარდგენილ სარჩელი მომჩივანი დაეყრდნო კონვენციის მე-2 მუხლს და განაცხადა, რომ ჩატარებული გამოძიება არ იყო საკმარისად დამოუკიდებელი და ეფექტური. 2013 წლის 9 ივლისს, საქმის განმხილველმა პალატამ გადაწყვიტა დიდი პალატისათვის საქმის გადაცემა..

©ევროპის საბჭო/ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
სამდივნოს მიერ მომზადებული წინამდებარე მოკლე მიმოხილვა
სასამართლოსათვის არ არის სავალდებულო

სასამართლო პრაქტიკის საინფორმაციო ბროშურები იხილეთ აქ